რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცივერითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

---

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მარტო ნახევარი წლის გაზეთის ფული აქვთ შემოტანილი, რომ, თუ ჰსურთ გაზეთი თავის დროზე და დაუბრკოლებლივ მიიღონ, რაც შეიძლება დაუჩქარონ დანარჩენი (მეორე ნახევარის) ფულის შემოტანას.

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 9 (21) ივლისს. კობდენის კლუბის ბანკეტზედ გრინვიჩში თავმჯდომარე ფორსტერი ძრიელ ჰკიცხავდა ინგლის-ოსმალეთის კონფერენციას. იმან სთქვა: „ინგლისი მუდამ წინააღმდეგი იყო საიდუმლო პირობათა შეკრულობისა, ეხლა კი თვით იმან შეჰკრა ამნაირი პირობა“. ფორსტერი უარ ჰყოფს, რომ ვითომ რუსეთს უნდოდეს ინგლისთან ომი და ინდოეთის დაპყრობა. ლიბერალების მიტინგზედ ბელლანდძეიში გლადსტონმა უარი გამოაცხადა მომავალში ლიბერალების მოთავედ ყოფნაზედ. იგი წინააღუდგა იმ საშუალებას, რომლითაც ინგლისის მრავლობა განაგებს ინგლისის ხალხს, და რომ არც ერთი ბარბაროსული სახელმწიფო არ გაბედავდა ისე მოქმედებას, როგორც მოქმედებს ეხლა ინგლისი; კონვენციას იგი უაზროდ ჰრაცხავს: არც ერთი უპირველესი დიპლომატთაგანი უკანასკნელი ორმოცის წლებისა არ მოაწერდა ხელს ამისთანა პირობის შეკრულობას, სამარცხვინოს ინგლისისათვის.

---

## საქართველო

### დღიური

*** თუმცა ჩვენ ხშირათა გვქონია ლაპარაკი გაკვრით ჩვენს გაზეთში ამ ქვემო მოყვანილ საგანზე, მაგრამ ეხლაც განვიმეორებთ, რადგანაც ყურადღების ღირსია. იმაზე მეტი საძაგელი საჭმელები მგონი რომ არც ერთს აზიურს ქალაქებში არ უნდა იხარშებოდეს და იყიდებოდეს, როგორც მაგალითად თფილისის იარმუკის ახლო-მახლოს, სადაც უფრო მუშა ხალხი ხვდება. ყოველთვის და ყოველ ხარშოვნიკთან შაგიძლიანთ ნახოთ იარმუკაში სამი-ოთხი დღის მოხარშული საჭმელი, რომელიც კაცს სარგებლობის მაგივრად ვნების მეტს არაფერს მოუტანს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ვისიც ვალია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და მიიღებს იმ საშუალებას, თორემ სწორეთ რომ შესაბრალისია ის მუშა ხალხი, რომელიც იქ იარება სადილ-ვახშმად.

*** ერევნიდამ სწერენ სომხურ გაზეთ „მშაკში“, რომ იქ ამას წინეთ ისეთი საშინელი წვიმები იყოვო, რომ დიდი ზარალი მისცემიათ იქაურ მცხოვრებთ.

*** ამ დღეებში ქუკიაში ერთი სახლის ქერი ჩამოწოლილა, სადაც ერთი კაცი დაუტანია ქვეშა და იქავ მამკვდარა.

*** ამას წინეთ ჩვენ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენი უკვდავი პოეტი თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები სრულებით გაიყიდა და კარგი იქნება, რომ გამომცემლებმა მეორეთაც გამოსცენო. ჩვენ ახლა ისიც შავიტყეთ, რომ ამ გვარათვე გასყიდულია ჩვენი ჩინებული პოეტის თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსებიც. არა ნაკლებ სასიამოვნო იქნება თუ ამ ჩინებული მწერალის ლექსებსაც მეორეთ გამოსცემენ, რადგანაც, რამდენათაც ვიცით, მომეტებული მისი ლექსები მთელს საქართველოს ხალხში მოფენილი და კიდეც მღერიან.

*** ჩვენ შავიტყეთ, რომ გურიის სასულიერო სასწავლებლის დეკანოზი ჭიქობე დაუთხოვნიათ თანამდებობიდამ.

*** იარმუკაში კვირაობით ნაცვალსა და სხვა დღიურათ იქ ვაჭრებს ხშირათ ჩხუბი და უწესოება უჩნდებათ ხოლმე ისე, რომ ხანდისხან მუშტებითაც დაერევიან ერთმანერთს. მიზეზი ის არის, რომ კვირაობით იარმუკაში გამყიდავებს ნაცვალი თითო აბაზს ახდევინებს სტოლზე და ისინი არა ყაბულდებიან.

---

### † პელაგია ნაცვალოვი

ნეკროლოგი.

აი კიდევ ახალი მსხვერპლი უსამართლო სიკვდილისა! მაისის თვრამეტს გარდაიცვალა ციურიხში ყველა მისი ნაცნობების დიდათ სამწუხაროდ პელაგია ნაცვალოვი. ამ ქალმა ადრე გაიგო ქალების საზიზღარი დამოკიდებული მდგომარეობა და გადასწყიტა ან თავი დაახწიოს ამ მდგომარეობას და ან თან გადაჰყვეს. ამ აზრით წავიდა ის ამ ექვსი წლის წინათ სამზღვარ გარეთ და ყველა მისი ნაცნობები დაამტკიცებენ, რომ განსაკუთრებული ენერგიით მიჰყო სწავლას ხელი. ბევრსაც მოასწრებდა ის და ჩვენში არც ერთ ქალს არ ჩამორჩებოდა; მაგრამ ვაი რომ ჯერ სხვა და სხვა გვარმა უბედურებამ და მერმე სიკვდილმაც არ დააცადეს და ბოლო მოუღეს ოც და ოთხი წლის ქალსა რომლის გულშიაც, შემიძლიან დავიფიცო

თავი დღეში არა გვარ სიბოროტეს არ გაუვლია და რომელიც მუდამ იმას სცდილობდა, რომ დახმარებოდა თავის მოხუცებულ მშობლებს. ის თავის ძმებით და დედით იყო საზღვარს გარეთ, და იმის აქ მისვლის პირველ თვიდგან სულ აქამდის პელაგია ნაცვალოვის ამარად იყო მთელი სახლობა, რომელიც მუდამ ავათმყოფობდა.

ის მეტად კეთილი გულის ქალი იყო. მე ხშირად დავსწრებივარ, რომ იმას მთლად თავის სახარჯო ფული, რომელიმე დაჭირებულისათვის მიეცეს ან მივსესხებინოს და თვით ყოველ გვარი ნაკლულევანება მხნედ აეტანოს. მე შემხვედრია მენახოს, რომ ის მატერიალურად ძრიელ შეწუხებული ყოფილიყოს და ამ მიზეზს არ დაეშალოს იმისთვის გულ-და-გულ ლექციების მოსმენა და მათი გამეორება.

ერთხელ ერთმა დაახლოვებულმა ნაცნობმა უთხრა იმას ჩემო, (მიცვალებულს ასე ეძახოდნენ), რა კი აგრე გულით და სულით მოგინდომებია სწავლის შესრულება პატარა ხანს მაგ შენს გულკეთილობას მოუკელ, მატერიალურად სხვებს კი ნუ ეხმარები შენსავ თავს დაეხმარე. ჯერ შენს მიზანს მისწვდი და მერე გააკეთე რაც კეთილი საქმე გინდოდეს. აი იმან რა უპასუხა ეს იმას ემსგავსება, რომ ვინმემ თქვას ჯერ სხვებს გავქურდავ, გამდიდრდები და მერე გაჭირებულებს დავეხმარები. არა ჩემო მეგობარო, მე მატერიალური ნაკულევანება არ მაშინებს, იმდენი ყოველთვის მაქვს, რომ კუჭის ცარიელობამ სწავლაში არ დამაპრკოლოს და თუ ყველა გვარ შეძლებას მოკლებული ვარ ეს უფრო გულ-და-გულ მამუშავებს, რომ ჩქარა ჩემი სწავლით მეტი შევიძინო და მეტის გაკეთებაც შემეძლოს. შენ გააწყვე ისე, რომ მე ჩემი საზრდოების მდგომარეობა არ მიშლიდეს; მოაწყე ისე, რომ მუდამ თვალის წინ არ მიდგეს უბედური დედ-მამა, რომლების სიხარულსაც მხოლოდ შვილები შეადგენენ და ეს შვილებიც ერთი მეორეზე გამოცალოთ ხელში სამი შვილი კიდევ ჰყავსთ. ერთი შეშლილი, მეორე ხმა დაკარგული და მესამეც მე, რომელსაც ამდენი დარდი და მწუხარება მგონი მალე მომიღებს ბოლოს. ნუღარ შეემთხვევა ამ ჩემს მშობლებს ახალი უბედურება და გაძლევ სიტყვას სხვა მიზეზი ჩემს სწავლას არ დააპრკოლებს.

აი მეც რას მწერდი: ის საცოდავი ამ ერთი წლის წინად მე რომ დედმამა არ მებრალებოდეს სწორედ ბოლოს მოუღებ ჩემს სიცოცხლეს. მაინც რა არის ჩემი ცხოვრება? ერთი უბედურება მეორეზე მომდიან ჩემი მიზნის მიხწევას და მასუსტებენ. არ ვიცი მე ვარ ისე სუსტი რომ ძნელად ვიტან ამდენ უბედურებაებს, თუ გარემოება არის უსამართლო და მოიცალა ჩემთვის რომ ერთი უბედურება მეორეზე დამატეხოს თავზე. ერთი იგივე მეორეს არ მიმიყვანა. ერთს უბედურებას თავიდგან ავიცდენ, მგონია აი ახლა შევუდგები ჩემს საქმეს და ერთს წელიწადში შევასრულებ, ჩავიწერები უნივერსიტეტში, დავიწყებ ლექციებზე სიარულს და გულ-და-გულ სწავლას. სიხარულითაც, რომ ჩემს მიზანს ჩქარა მივახწევ მეთქი, ჩემს სახესაც კი სხივი გადაჰკრავს, ჩემს თავს სრულ ბედნიერად ვხედავ. ვცდილობ წარსული დავივიწყო და მომავალში ბედნიერად ვიცხოვრო. ამ დროს ახალი უბედურება მატყდება თავზე და სულ მიშფოთებს გულს და გონებას. შეიძლება მე სუსტი ვიყო, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემს ადგილზე რომელი თქვენგანიც უნდა ყოფილიყო დიდი ხნით რამე აუტყდებოდა. თუნდ ახლაც მწერდა ის, ჩემს ხელზე კვდება ჩემი უნცროსი ძმა, უკანასკნელი იმედი ჩემის დედ-მამისა. დოქტორებმა ხელი აიღეს და იქნება თუ ამას რამე დაემართა მე თავს არ გადავირჩენო. ძმა გადარჩა და ისიც ცოცხალი დარჩა. ახლა კი გასჩენია ჭლექი და მოუღია ბოლო. ბევრი მიზეზი ჰქონდა იმ ქალს ამ სნეულების მისაღებად ბევრი დარდი მწუხარება და თან ციურიხის ცუდი ჰავა. როდის გვეღირსება, რომ თვითონ ჩვენში გვექნეს უდიდესი სწავლის მისაღები ადგილი, რომ ამდენი არ იხოცებოდნენ ჰავის მიზეზით. პეშო ნაცვალოვი პირველი მაგალითი არ არის. სხვებიც უანგარიშონი დაიხოცნენ სხვა-და-სხვა ქალაქებში. თვითონ ამ პატარა სასაფლაოზედაც ციურიხში ეს მესამე კავკაზიელი საფლავდება. მშვიდობით საყვარელო მეგობარო პეშა! ვასურვებ, რომ სხვა შენისთანა პატიოსანი და კარგი მიმართულების ქალს შენზე უკეთესი ხვედრი რგებოდეს. შენი მეგობრები მხოლოდ იმით ვნუგეშობთ, რომ ბევრის სიცოცხლეს შენი სიკვდილი სჯობია. მშვიდობით, საუკუნოთ იყოს შენი ხსენება. ყველა შენი მეგობრები გულით გგლოვენ.

ო. ნ.

---

## წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! თუმცა მე თვითონ, როგორც უბრალო ყანის მუშა გლეხს, არ წამიკითხავს, მაგრამ ხშირად კი დავსწრებივარ წაკითხვის დროს თქვენი პატივცემული გაზეთისა ჩვენ სოფლის კანცელარიაზედ, რომ სოფლის მამასახლისები ბევრს რასმე კანონის და კეთილი სინიდისის წინააღმდეგ მოქმედებას ჩადიან თუ კი სადმე დაახელეს. ამასთანავე ჩემს კითხვაზე ამიხსნეს რომ თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილს აძლევთ ჩემისთანა გლეხების, ცოტად

---

# ფელეტონი

## საყველ და პურე ამბები.

თელავის გამშვენიერება, ნადიკვარი, პოეტის სიტყვები, თელაველი დიდკაცები, ბულვარი, თელავის ექიმი, ერთი ტრაგიკული ამბები.

რა საკვირველია ყოველს ქალაქის მცხოვრებელს დიდათ იამება თავისი ქალაქის გამშვენიერება. მეც, როგორც იქაურ უეზდის მცხოვრებელს, დიდათ მესიამოვნა, რომ თელაველებს გაუკეთეს ნადიკვარზედ მშვენიერი სკამები, გაყარეს დიდყურა მომღერლები, რომელნიც აწუხებდნენ აქაურ თარ და ქიანურ ნაჩვევსა ყურებს, და გაუმართეს მშვენიერი სასეირნო ალაგი, სადაც შეიძლება სალამოთი კაცმა შეისუნთქოს წმინდა ჰაერი, გადაჰხედოს ალაზნის ველებს და დაღისტნის მთებს და მცირე ხანს მაინც დაიტკბოს გული და გონება. ოხ, რომ იცოდეთ რა მშვენიერებაა, როდესაც უყურებთ თელავიდამ მთელს კახეთის ბუნებას! მაშინ კაცის გული თავის უფლად იწყებს ხოლმე ძგერას და ოცნებანი ფრთებს ისხამენ.

სალამოთი ნადიკვარი გაიმსება ხოლმე ქალებით და აქაურ დიდკაცებით, რომელთაც სიამაყეთ მიაჩნიათ თავისი დანგრეული სახლები, გვარის ჩამომავლობა და მათი დარბაისელი ლაპარაკი, რომელიც გულს უწუხებს ყოველს შეუჩვევარ ადამიანს. ესენი აქა-იქ გუნდ გუნდებათ გროვდებიან და ზოგნი ლაპარაკობენ და ზოგს კი გააქვთ რახარუხი ერთს ადგილას გაიგონებთ ლაპარაკს კონგრესზედ. მეორე ალაგას ჩივიან და პოლიციის ჩინოვნიკებზედ, რომელთაც აბრალებენ ქრთამის აღებას სალდათების მოკრეფის დროს, მესამე ალაგას ლაპარაკობენ პრიკაზის ვალის პატიებაზედ და სხ. და სხ.

---

თელავის ბულვარზედ კი იყრებიან მოვაჭრე და მოსაქმე კაცები და აქვთ გაცხარებული ლაპარაკი. მხოლოდ აქ გაიგონებს კაცი ლანძღვას აქაურს ექიმზედ, რომელიც სამი ჩელიწადი თურმე ავათ არის და არავის არა სწამლობს ხეირიანად, რისგულისთვისაც აქაურები

თუ ბევრად ყურადღების ღირსს წერილს და ამისათვის მეც გავბედე იმ იმედით ამ წერილის გამოგზავნა თქვენთან.

მე იმისი თქმა არ შემიძლიან, რომ ჩვენი ადრინდელი მამასახლისი თავის თავად მოქმედებს სინიდისის წინააღმდეგ მეთქი; მაგრამ, როგორც უსწავლელი კაცი, ზოგიერთი პირების შეგონებით ანუ გავლენით, რამდენიმე უკანონო საქმეს, ხან-დის-ხან, კანონიერ აღსრულებაში მოიყვანს ხოლმე.

მოვიყვან ერთს მაგალითს რომელიც მე ამ გასრულ კვირას ჩემის თვალით ვიხილე: ერთი ჩვენი სოფლის კაცი ეძიებოდა გზას თავისი მეზობლისაგან შეუფერებელ ადგილზედ.—მამასახლისს, რა საკვირველია, რა ჩება ჰქონდა პირ-დაპირ გზა გაეხსნა მოჩჩივანისთვის. მაგრამ რა კი მომჩივანმა მოუტანა მამასახლისს, შემდეგი მოწერილობა ერთი შესანიშნავის (?) თავადიშვილისაგან, ის მაშინვე აიბარგა გზის გასახსნელად.

ეს მოწერილობა რომელიც მამასახლისმა წაიკითხა ჩვენს წინაშე არის შემდეგი სიტყვა-სიტყვად გადმოღებული ნამდვილისაგან.

„შემოქმედის მამასახლისო თ. ჯ. მოგიწერ შენ მელიევებს ყარეგიშვილებისათვის გზა დაუკავებიათ, მიღებისათანავე ამისა გაშალე და მიეცი ყარეგიშვილს გზა, თორე მიგცემ პასუხის გებაში“...

ეს ხსენებული თავადი ჩვენ გვეგონა სამხედრო სამსახურშია და ახლა არ ვიცით მაზრის უფროსად დაუნიშნიათ თუ ღუბერნატრად თქვენ გაიგებდით გაზეთებიდამ უ. რედაქტორო! თუ არა და მისს ამ გვარ მოწერილობას, მამასახლისზედ ჩვენ არ ვიცით რა გავლენა უნდა ჰქონდეს, რადგან უსწავლელნი ვართ, და გთხოვთ თქვენ აგვიხსნათ, რადგან ამ გვარი გავლენიანი და ჩვენ უ-წავლელნი ხალხის შემაშინებელი მოწერილობით ხშირათ გვეძლევა დაბრკოლება ჩვენს ცხოვრებაში.

ი. ზვარჯალაძე

9 მკათათვე.

---

# უცხო ქვეყნები

---

## საფრანგეთი.

გაზეთები გვაცნობებენ, რომ საფრანგეთის პარლამენტში ამორჩევები რესპუბლიკის სასარგებლოდ გათავებულან: რესპუბლიკის თავს მოუპოვებია თექსმეტი რესპუბლიკისათვის მოღვაწე კაცი.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ გადაყენებულთ მინისტრების ბროლი-ფურტუს უკანონო და უსვინიდისო ქცევით და გაიძვერაობით ბევრი მონარხიელები იყვნენ ამორჩეულნი. შემდეგ, როცა ნამდვილათ რესპუბლიკელათ ჩაიგდეს ხელში მმართებლობა და ბროლი-ფურტუ სამსახურიდგან გამოვიდნენ, დეპუტატთა პალატმა დანიშნა გამოძიება რომ გამოეაშკარავებინათ საქვეყნოთ ბროლი-ფურტუს უსვინიდისო ქცევა და უარ მყოთ კანონიერება ზოგიერთა დეპუტატების ამორჩევისა.

მართლაც, გამოძიებამ იმდენი სისაძაგლე და გაიძვერაობა ამოაჩინა, რომ დეპუტატთა პალატმა უკანონოდ ჩასთვალა ამორჩევანი. რიცხვი უკანონოდ ამორჩეულობისა იყო სამოც-და-ოთხი. ამათგან ხელ-ახლად მხოლოდ ცხრა ამოირჩიეს, დანარჩენი სულ რესპუბლიკის მომხრეები ამოარჩია ხალხმა.

ორი მიცვალებული რესპუბლიკელი დეპუტატების მაგიერად [illegible]ცვალად რესპუბლიკელები ამოირჩიეს [illegible]ჟის მეექვსე მაზრაში და ლელლიო ბრენიბლში. ერისონის მოპირდაპირე და მოცილედ იყვნენ ლუცენი (მონარხიელნი და ბლანკი გამოჩენილი იაკობინეცი, რომელმანც მესამედი თავის ცხოვრება სულ ციხეში გაატარა პოლიტიკურის დამნაშაობისათვის. ეხლაც კიდევ ციხეში ზის. მეგობრებს ძრიელ უხაროდათ, რომ თუ ბლანკის დეპუტატად ამოირჩევენ, მმართებლობა, რადგან დეპუტატის ციხეში დამწყვდევის ნება არა აქვს, გაუღებდა საპყრობილის კარებს ამ ოთხმოცი წლის მოხუცს და დანარჩენს თავის სიცოცხლეს თავის სახლობაში გაატარებინებდნენ. მაგრამ ბლანკის მეგობრებს სურვილი ვერ შეუსრულდათ: ის დეპუტატად არ ამოირჩიეს.

უკანასკნელი დეპუტატების ამორჩევანი კვალად კიდევ ამტკიცებენ, რომ ძლიერება და გავლენა მონარხიელებისა დადნა, როგორც შარშანდელი თოვლი და მათ მაგივრად გაძლიერდნენ რესპუბლიკის წარმომადგენელნი და მოღვაწენი.

---

*
* *

შენ გახსოვს? ცაში ბადრი მთოვარე
ვარსკვლავთა შორის მიმოვიდოდა
და მის სხივებით მთლად არე-მარე
ვერცხლის ფერათა იფერებოდა.

—

შენ გახსოვს? მაშინ მთელი ბუნება
დუმილებითა იყო მოცული,
მხოლოდ მე და შენ სატრფოვ ვეხიზლობდით
ტრფიალებითა გატაცებული.

—

---

იძულებული არიან ბლომათ ფული დახარჯონ და მოიყვანონ სხვა უეზდის ექიმი. როგორც ამბობენ ეს ექიმი თუ ორ-სამ საათზედ ნაშუადღისას არავისთან არ წავა და თუ ავანტყოფს მასთან მოიყვანენ ხანდისხან არც კი თურმე იღებს ხოლმე. აი რა მშვენიერი ექიმი ჰყოლიათ თელაველებს! ის ექიმი რა ექიმია რომელიც მხოლოდ თავის-თავის წამლობას უნდება და სხვანი კი ფეხებზედ ჰკიდია. ამ დალოცვილმა ფულების შოვნის გულისათვის მაინც დაიწყოს მოქმედობა...

—

დილით და საღამოთი აქ ბულვარის დასაწყისში შაიყრებიან ხოლმე უსაქმო კაცები და აქვთ ლაპარაკი აქციების აწევა და დაწევაზედ. აქ აქციები გახლავთ ქალებზედ და აქციების აწევა და დაწევა შაიძლება მხოლოდ ქალის მოქმედების გამო.

—

უკანასკნელათ არ შამიძლიან ერთი ამბავი არ გიამბოთ. ამას წინათ ერთს ჩემს ნათესავ თავადისშვილს მოუვიდა გურჯაანიდამ წიგნი ერთს მის ნაცნობ თავადიშვილისაგან, რომელშიაც სწერდა შემდეგ შემთხვევას: ერთს გურჯაანელგლეხს ჰყვანდა თურმე ორი მოზდილს ვაჟის შვილი. ამ ორ შვილში ერთი ერთის უნდა სალდათათ წასულიყო და მოშორებოდა მამას. ეს გლეხი თურმე დიდათ შაწუხებული იყო თავის შვილის სალდათათ წასვლაზედ, რადგანაც სალდათობას რეკრუტობას უძახოდა და რეკრუტობა რაღაც უბედურება ეგონა. როდესაც სოფლებში დაიწყეს კენჭის-ყრა, ამ გლეხმა ცოლს სთხოვა ვენახში მწვანილის დაკრეფნა და, როდესაც ცოლი წავიდა, მან თოფით მოიკლა თავი რადგანაც არ უნდოდა შვილი რეკრუტათ ენახა. საჭიროა ყოველთვის, როდესაც რომ განკარგულება მოვა მმართებლობისაგან, პოლიციის ჩინოვნიკებმა, ხეირიანათ აუხსნან გლეხებს განკარგულება და გააგებინონ საქმე რაში მდგომარეობს, თორემ ამისთანა ტრაგიკული შემთხვევა ჩვენს გლეხებში ხშარათ იქნება.

მ. ჯორჯაძე

შენ გახსოვს? რა რიგ აღტაცებითა
განმიცხადებდი მე სიყვარულსა
და მექადოდი, რომ სიკვდილამდინ
მე მაკუთვნებდი შენს წრფელსა გულსა.

—

შენ გახსოვს? მაგრამ ან ის აღარ ხარ...
რისთვის გაგონებ წარსულს ამაოდ;
რაც უწინ შენა გულითა გრწამდა
ის მიგაჩნია აწ სამასხროდ.

სოსიკო ბაქრაძე

# განცხადებანი

## ქალაქის საავათმყოფოსაგან

**ტფილისის ქალაქის საავათმყოფო კანტორა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად სამოქალაქო საავათმყოფოებისათვის დადგენილის წესდების § 3 მუხლისა, ხსენებულს საავათმყოფოში ავათმყოფები მიიღებიან: ზაფხულობით დილის 7 (შვიდი) საათიდამ და ზამთარ დილის 8 (რვა) საათიდამ ვიდრე დილისავე 10 (ათ) საათამდინ. თუ აუცილებელი საჭიროება იქნება, ავათმყოფების მიღება სხვა დროსაც შეიძლება.

(3—2)

დაიბეჭდა და **ისყიდება** გ. ჩარკვიანის **წიგნის მაღაზიაში** და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

**„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა“**

ტრაგედია ოთხ მოქმედებად ქ, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

**ფასი 30 კაპეიკი**

## ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

„კავკასიის წიგნის სავაჭრო მაღაზიაში“ (Кавказская Книжная Торговля), ძუკის ხიდის თავში, ა. ზუბალოვის სახლებში ისყიდება:

1. **„სიბრძნე-სიცრუვის წიგნი“** (ქართული არაკები დაზღაპრიბი მე-XVII და XVIII საუკუნისა) თხზულება **საბა-სულხან ორბელიანისა**, რუსულად ნათარგმნი და განმარტებული ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს ა გ ა ნ. პეტერბ. 1878.

**ფასი** თითო წიგნისა 1 მან. 50, გაგზავნით რვა აბაზი.

**ისყიდება ტფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“** ქართული

# „სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან.

**ფასი ათი შაური.**

ისყიდება ტფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული **სამზარეულო წიგნი**“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

## გამოვიდა და ისყიდება

# „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  თ ა მ ა რ  ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი“

კ. მესხისაგან.

**ისყიდება: ტფილისში**—ყველა წიგნის მაღაზიებში,

**ქუთაისში**—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში

**ფასი ყველგან ექვსი შაური.**

## გამოვიდა და ისყიდება

### „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

**ისყიდება:** ქ ა ლ ა ქ შ ი—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თ ე ლ ა ვ ს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქ ა რ ე ლ ს—დავით ქეროჩაშვილთან, ხ ა შ უ რ ი ს ა  და  ბ ე ჟ ა თ უ ბ ნ ი ს უფეტში, ს უ რ ა მ ს — ზაქარია არუწოვთან, ქ უ თ ა ი ს ს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერაძესთან ფ ო თ შ ი—მლისბარ ბაბალოვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ს—თ. ივ. თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გ ო რ შ ი—სტ. ზომლევთან და თვითონ ავტორთან.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი ქვერი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიშვილს, (პუკიაში, ელისავეტინსკიქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

| რკ. გზა. | დილ. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| მაზარდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 11 ივლისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 40 |
| ფქვილი წითელი | 1 | 30 |
| ქერი ფუთი | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი | 7 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი | 9 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 90 |
| სპირტი, ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი. გროც. ფუთი | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| ყავა გოგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

### ტფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ქიუჩარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და გახუტოვი—ბებიობის თვალის.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. გახუტოვი და ქიუჩარიანცი.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Іюля 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი